

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

ანგარიში 2020



სარჩევი

მიმოხილვა	2
მეწვლა ერთა და საქმების ხელშეწყობა	3
საწვლაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა:	4
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლს მიმართულება:	6
ოქრიდული მიმართულებით განხორციელებული ქმნა შემდეგი ღონისძიებები:	6
საწვლაო უსაფრთხოება	8
გემების მოძრაობა საქაროგელს ნავსადგურებში:	8
ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლი	10
საქაროგელს ნავსადგურების უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველყოფა	10
მეწვლა ერთა განათლება და სერტიფიცირება	11
საწვლაო სასწავლო და საწვლაო საწვრთნო დწესებულებების მონიტორინგი	13
მეწვლა ერთა განათლების სისტემის დახვეწა და დასაქმების ხელშეწყობა	14
ფოთის საწვლაო სასწავლო საწვრთნო ცენტრი	15
გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი	17
მცურავი საშუალებების რეგისტრაცია	17
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლს პროცესისა და საკანონმდებლობის გაუმჯობესება	24
წვლაზე ძებნა-გადრწენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი	25
საანგარიშოპერიოდში საწვლაო სამაშველსაკოორდინაციოცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები:	27
წვლაზე ძებნა-გადრწენის ოპერაციების ეფექტური მართვა	27
საქაროგელს საწვლაოფრის განვითარება/ ინოვაციური პროექტების განხორციელება	29
ერთო ფუნჯრის პრინციპი საქაროგელს ნავსადგურებში:	29
საქაროგელს საწვლაო სტრუქტურა	29
საწვლაო თუ ვეჭერის ხელშეწყობა	30
საგადსახადამეღვათების პროექტი უცხოური ბიწნესის წასახალსებლად	31
საკანონმდებლსაქმიანობა	33
საქაროგელს კანონის/ნორმატიული აქტების შემწწავება/დახვეწა	35
ადინისტრაციული უზრუნველყოფა	37
ISO 9001:2015/ISO 27001/შრომის უსაფრთხოება	38

მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, 2020 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შემაჯამებელ, რიგით მე-8 წლიურ ანგარიშს.

ჩვენი სააგენტო საზღვაო ინდუსტრიის ერთადერთი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოა, რომლის საქმიანობის სფერო მოიცავს:

- საქართველოს დროშის ქვეშ გემების რეგისტრაციას;
- დარეგისტრირებული გემების უსაფრთხოებისა და უშიშროების სტანდარტების უზრუნველყოფას;
- საქართველოს ნავსადგურებისა და შემოსული გემების ზედამხედველობას;
- საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მოძრავი გემების მონიტორინგს;
- ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციას, ნავთობის დაღვრის შემთხვევაში დროულ ლიკვიდირებას;
- ზღვაზე საავარიო ინციდენტის დადგომის შემთხვევაში ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოებას;
- მეზღვაურთა სერტიფიცირებას და მათი განათლების სისტემის ზედამხედველობას;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პოზიციონირებას;
- საზღვაო კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
- საზღვაო ინდუსტრიაში ინოვაციური მიდგომებისა და პროექტების ინიცირებას.

2020 წელს, მსოფლიო პანდემიის პირობებში, სააგენტოს გუნდის მიერ, დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული სფეროს შეუფერხებელი მუშაობისათვის, და დაინტერესებულ მხარეთათვის სერვისების მიწოდების უწყვეტობისათვის.

კორონავირუსის პანდემიამ, საზღვაო სფერო რიგი გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც აუცილებელი გახადა სააგენტოს მხრიდან მყისიერი ღონისძიებების გატარება, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილიყო ნავსადგურების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება, ქართველ მეზღვაურებს მისცემოდათ საშუალება გამგზავრებულიყვნენ ნაოსნობაში, რაც თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის, და განსაკუთრებით აჭარის რეგიონის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, პანდემიის პირობებში გატარებული აქტივობები:

მეზღვაურთა დასაქმების ხელშეწყობა

2020 წელს, მსოფლიო პანდემიის პირობებში, მაშინ, როცა მსოფლიო მასშტაბით, შეჩერებული იყო მეზღვაურთა როტაციის პროცესი, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად, და კერძო კომპანიების ჩართულობით, უზრუნველყო 10 ჩარტერული რეისის განხორციელება მეზღვაურთა გემზე გასამგზავრებლად და სამშობლოში დასაბრუნებლად.

2020 წლის მარტი-დეკემბის პერიოდში - საქართველომ უსაფრთხო კორიდორები უზრუნველყო 11,800 მეზღვაურისთვის, მათ შორის ნაოსნობაში გაემგზავრა 6,097 მეზღვაური და სამშობლოში დაბრუნდა -5,703.

COVID – 19 პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მეზღვაურთა ხელშესაწყობად გამარტივდა რიგი პროცედურები:

- მობილობის შემცირების მიზნით, სააგენტომ დაიწყო სერტიფიკატების მიწოდება ადგილზე საფოსტო მომსახურებით;
- საზღვაო სასწავლებლები და საწვრთნელი ცენტრები თეორიულ სწავლებას ახორციელებენ ონლაინ რეჟიმში;
- ამუშავდა ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ემსახურება მომხმარებლებს და აწვდის საჭირო ინფორმაციასა თუ რეკომენდაციას;
- საწვრთნელი ცენტრებისათვის შემუშავდა ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის საჭირო პროცედურები, რომელთა დაცვის შესაბამისად შეუძლიათ ჩაატარონ საწვრთნელი კურსები;

- მეზღვაურების სერტიფიკატების ვადის გაგრძელების მიზნით გამოიკა სააგენტოს დირექტორის 2 ბრძანება და შესაბამისი ინფორმაცია ცირკულარის სახით მიეწოდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას;
- დაინერგა მეზღვაურთა სააგენტოში მოსვლისთვის წინასწარ ჩაწერის პროცედურა სააგენტოს ელექტრონული პორტალის საშუალებით;
- მეზღვაურთა კომპეტენციის სერტიფიკატის მიღების მიზნით, საჭირო ზეპირი გასაუბრება გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე (ზუმის გამოყენებით ერთვება მოწვეული ექსპერტები, ხოლო თავად გამოსაცდელი კანდიდატი მოდის სააგენტოში);

საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

საქართველოში არსებული საზღვაო ნავსადგურების (ბათუმი, ფოთი, სუფსა და ყულევის) შეუფერხებელი მუშაობისათვის და ქვეყნისათვის საჭირო ადგილობრივი და სატრანზიტო ტვირთების გადაადგილების ხელშესაწყობად, ასევე გემების და მათი ეკიპაჟების უსაფრთხოებისთვის,, ნავსადგურში მათ უსაფრთხო შემოყვანა-გაყვანისა და ნავმისადგომთან დგომის ოპერაციების შეუფერხებელად წარმოებისთვის, დაიგეგმა, განხორციელდა და ამჟამად გრძელდება საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში პანდემიასთან ბრძოლის პროცედურები. უზრუნველყოფილი იქნა ვირუსის თავიდან აცილებისათვის საჭირო უსაფრთხოების ზომების იმპლემენტაცია და პერიოდული მონიტორინგი.

მთავრობის რეკომენდაციებზე და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დირექტივებზე დაყრდნობით სააგენტოს მიერ შემუშავებულ და გამოცემულ იქნა შემდეგი ცირკულარები:

1. [Circular N6/MSD](#) საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემომავალი გემების COVID-19 კორონავირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების რეკომენდაციები
2. [Circular N9/MSD](#) Safety recommendations regarding Coronavirus - COVID-19 for the ships calling Georgian ports - Withdrawn by [Circular N12/MSD](#)
3. [Circular N12/MSD](#) PRECAUTIONARY MEASURES TO MINIMISE RISK OF COMMUNITY SPREAD OF THE CORONAVIRUS DISEASE 2019 (COVID-19) IN GEORGIA - Withdrawn by [Circular N15/MSD](#)
4. [Circular N13/MSD](#) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 მარტის ბრძანება N01-120/ო სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა

ვირუსის (COVID19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე

5. [Circular N15/MSD](#) PRECAUTIONARY MEASURES TO MINIMISE RISK OF COMMUNITY SPREAD OF THE CORONAVIRUS DISEASE 2019 (COVID-19) IN GEORGIA

ნავსადგურის და სანავსადგურე ობიექტებთან მუშაობის შედეგად შეიქმნა კონკრეტულ ნავსადგურებში COVID-19 პანდემიასთან ბრძოლის გეგმები, რომელიც ასახავს ყველა იმ საჭირო პროცედურებს, რომელიც საჭიროა პანდემიასთან ბრძოლისათვის. გეგმის მიხედვით ნავსადგურში არსებული ინფრასტრუქტურა და სატვირთო ოპერაციები იმართება ეფექტურად მინიმალური ადამიანური რესურსების გამოყენებით. ასევე გეგმა მოიცავს ინფიცირებული ადამიანების მართვის პროცედურებს და სათადარიგო გეგმების ეფექტურად დანერგვას პანდემიის პირობებში. გათვლილია და გათვალისწინებულია ყველა ის საფრთხე რაც შეიძლება მოხდეს პანდემიის პირობებში, რათა არ შეჩერდეს სამუშაო პროცესი. აღნიშნული გეგმების ეფექტურობისა და გეგმის შერულებაზე მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, მცისიერად უზრუნველყო საზღვაო ინდუსტრიასთან დაკავშირებული კომპანიების მონაცემების მოპოვება და მათი ეფექტური მართვა. კერძოდ: სააგენტოს მიერ შეიქმნა კრიზისების მართვის ჯგუფი, რომელმაც საგანგებო სიტუაციის გამოცხადების შემდგომ, სატვირთო და სატრანსპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებით დახმარება აღმოუჩინა 200-მდე კომპანიას და ამ კომპანიებში დასაქმებულ 5000 ადამიანს.

აღსანიშნავია, რომ ეს ადამიანები არიან უშუალოდ ტვირთის მიღება/დამუშავება/გადატანის პროცესის მონაწილეები, შედეგად აღნიშნული კომპანიების ეფექტურმა და შეუფერხებელმა მუშაობამ უზრუნველყო ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვები პროდუქტების, მედიკამენტებისა და ნედლეულის მიწოდება მოსახლეობისათვის მათ შორის ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში.

ასევე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გაიცა გემების ნავსადგურში შემოყვანის პროცესთან დაკავშირებით. სალოცმანო გაცილების განმახორციელებელი 3 სალოცმანო კომპანიის 15 ლოცმანი (ბათუმი, ფოთი სუფსა და ყუღევი) უზრუნველყოფს გემების უსაფრთხოდ შემოყვანას და გაყვანას საზღვაო ნავსადგურებში.

სააგენტოს მიერ გამოცემულმა ცირკულარებმა უზრუნველყო გემის სალოცმანო გაცილების მონაწილე პირებისათვის ვირუსისგან დამცავი აღჭურვილობის

განსაზღვრა. სააგენტოს მხრიდან ხორციელდება მათი ყოველდღიური მონიტორინგი (თერმოსკრინინგი, აღჭურვილობისა და სადებინფექციო პროცედურებზე დაკვირვება).

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართულება:

- შეღავათები დაწესდა გემფლობელებისთვის კერძოდ, განხორციელდა 2 თვით გემის ბილეთების მოქმედების ვადის გადადება;
- დისტანციური მომსახურების დანარგვა (დოკუმენტების მოწოდება ხორციელდება ელექტრონულად და ასევე დამზადებული მოწმობა ეგზავნება შესაბამის ჩართულ მხარეებს)
- მომზადდა შესაბამისი ცირკულარი საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების დროშის ინსპექტირების დისტანციურად ჩატარებასთან დაკავშირებით , უკვე განხორციელდა ერთი გემის ინსპექტირება
- ასევე გამოიცა რამოდენიმე ცირკულარი კოვიდთან დაკავშირებით, შემოწმების და ინსპექტირებების გადადებასთან მიმართებაში, საკონტაქტო მონაცემთან და ასე შემდეგ.

იურიდიული მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

- სააგენტოს 2020 წლის 17 მარტის N10/617 ცირკულარით გაგრძელდა სერტიფიკატების ვადა იმ მეზღვაურებისთვის, რომლებიც იმ დროისთვის იმყოფებოდნენ გემზე. აღნიშნული ცირკულარი გავრცელდა IMO Circ.Letter No.4232/Add.1, 17 April, 2020;
- სააგენტოს მიერ გამოცემული იქნა 2020 წლის 6 აპრილის N05 ბრძანება „ახალი კორონავირუსის COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სფეროში განხორციელებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ , რომლითაც გახანგრძლივდა მეზღვაურთა სერტიფიკატების და სამედიცინო მოწმობების ვადები 2021 წლის 31 მარტამდე.
- საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გამოცხადა მეზღვაურთ პროფესია „წამყვან პროფესიად“ და დაუშვა ეკიპაჟის შეცვლა და როტაცია საკუთარ ტერიტორიაზე.
- IMO Circ.Letter No.4232/Add.4 15June, 2020 საქართველო განიხილება, როგორც უსაფრთხო ქვეყანა მეზღვაურთ ეკიპაჟის შეცვლისა და როტაციისთვის.

- სააგენტოს 2020 წლის 23 მარტის N03 „ახალი კორონავირუსის COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით სააგენტოს ზოგიერთი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“ ბრძანებით, შეჩერებული იქნა გემის რეგისტრაციის განახლება, მეზღვაურთა სერტიფიცირებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების პროცესი.

საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავთობტერმინალსაც.


გემების მოძრაობა საქაროჯელს ნავსადგურებში:

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს ნავსადგურებში შემოსული იყო 1758 გემი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

გემის ტიპი	რაოდენობა
Gen.Cargo	514
Tanker	528
Container	369
Ro-Ro	184
Bulk Carrier	84
Vehicle Carrier	15
Livestock	24
Tug Boat	3
High Speed Craft	3
Yacht	1
LPG	33
სულ	1758


დიაგრამა #1-ზე ნაჩვენებია საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2014-2020 წლებში

გემების მოძრაობა ნავსადგურებში 2014-2020 წწ.



დიაგრამა #2-ზე წარმოდგენილია საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2020წელი)


GT



ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლი

2020 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 265 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 188 გემს. საანგარიშო პერიოდში მოხდა 6 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 2 გემის, ფოთის ნავსადგურში - 4 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა #3.

PSC საქმიანობა



საქართველოს ნავსადგურების უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველყოფა

- შემოწმდა ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავსადგურების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები;
- ჩატარდა ნავსადგურების კონტროლის სამსახურის ოფიცრების ყოველწლიური შემოწმება;
- ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში ჩატარდა ყოველწლიური კომპლექსური შემოწმება;
- ჩატარდა ფოთის ნავსადგურის, ბათუმის „ტერმინალ1“ ნავმისადგომის, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის (BICT), და სუფსის ნავთობტერმინალის უშიშროების გეგმების წლიური შეფასება;
- 5 წლიანი ISPS სერტიფიკატი გაიცა ყულევისა და ბათუმის ნავსადგურებზე.

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი.


- მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.

მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

მეზღვაურთა სერტიფიცირება


დიაგრამა # 4-ზე წარმოდგენილია მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2019 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა

2020 წელს გაცემული მოწმობები



დიაგრამა N5 - 2019-2020 წლებში გაცემული მეზღვაურთა მოწმობების სტატისტიკა

2019-2020 წლებში გაცემული მოწმობები



2020 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად ტესტირებაზე დარეგისტრირდა 1821 მეზღვაური, აქედან ტესტირება წარმატებით გაიარა 1561 მეზღვაურმა, ხოლო ვერ ჩააბარა 260 -მა. რაც შეეხება გასაუბრებას, გამსვლელთა საერთო რაოდენობა იყო - 585, 494 მეზღვაურის შემთხვევაში შედეგი იყო დადებითი, ხოლო 91 - ის - უარყოფითი.

საზღვაოსასწავლო და საზღვაოსაწვრთნელ დაწესებულებების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 64 კურსის აღიარება. 2020 წლის განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში შემოწმებულ იქნა 2500 საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი კურსი, მსმენელების საერთო რაოდენობა კი შეადგენდა 25186 (გარდა პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა).

2020 წელს, აღიარება გაიცა ფოთის საზღვაო-საწვრთნელ ცენტრზე.

ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგები ჩატარდა შემდეგ დაწესებულებებში:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;
- შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“
- ფოთის საზღვაო საწვრთნელი ცენტრი;
- შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“
- შპს „მედიკლაბჯორჯია“;
- სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი 2010“
- სს „საზღვაო ჰოსპიტალი“
- შპს „საგიტარიუსი“

მეზღაურთა განათლების სისტემის დხვეწა დ დასაქმების ხელშეწყობა

- 2020 წლის 30 ოქტომბერს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებით, რიგით მე-4 აკადემიური საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 40-მდე დელეგატმა - საზღვაო სასწავლებლების, მსხვილი დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლებმა. შეხვედრის მონაწილეებმა საზღვაო განათლებისა და წვრთნების, ეკიპაჟის შეცვლის, ქართველი მეზღვაურების, მათ შორის კადეტების დასაქმების აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს.
- 2020 წლის იანვრიდან საზღვაო საწვრთნელ-დაწესებულებებში ამოქმედდა ვიდეო-მონიტორინგის სისტემა;
- მეზღვაურის პროფესიის პოპულარიზაციისათვის, IMO ambassador-თან ერთად ჩატარდა 2 საჯარო ლექცია - უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ თვითმართველობასა და ქობულეთის საჯაროში სკოლაში;
- მეზღვაურთა დასაქმების ხელშესაწყობად, ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა დიდ ბრიტანეთთან, ავსტრალიასთან და ესტონეთთან, სულ სააგენტოს მემორანდუმი გაფორმებული აქვს 53 საზღვაო სახელმწიფოსთან, მათ შორის 20 ევროკავშირის წევრია;
- 2020 წელს, მოდერნიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები განიცადა მეზღვაურთა დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემამ, საზღვაო საწვრთნელი ცენტრების და სამედიცინო დაწესებულებების ელ.მოდულებმა.
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, იმისათვის რომ, მეზღვაურებს შეეძლოთ შუამავალი კომპანიების გარეშე დასაქმება, გასულ წელს ექსპლუატაციაში ჩაუშვა ონლაინ პლატფორმა www.georgianseafarers.ge, სადაც რეგისტრირდებიან მეზღვაურები და დამსაქმებლები და უშუალოდ, პირდაპირ კომუნიკაციაზე არიან ერთმანეთთან. დღეის მდგომარეობით, დარეგისტრირებულია 3979 მეზღვაური, 20 კომპანია და აქტიური ვაკანსიების რაოდენობა შეადგენს 241-ს.
- მეზღვაურის საერთაშორისო დღე - ტრადიციულად, 25 ივნისს, პანდემიის პირობებში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ საზღვაო სფეროს კერძო და საჯარო სექტორთან ერთად, მეზღვაურის საერთაშორისო დღე აღნიშნა.

საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო საზღვაო სახელმწიფოებს შორის, რომელმაც მეზღვაურის პროფესია საკვანძო პროფესიად გამოაცხადა პანდემიის დროს. ღონისძიებას ესწრებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს სფეროში მომუშავე პერსონალს გაწეული საქმიანობისათვის და ცალსახად აღნიშნეს, საზღვაო მიმართულების პრიორიტეტულობა და მნიშვნელობა. ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა დაჯილდოების ცერემონია, ჯილდოები გადაეცათ ღვაწლმოსილ მეზღვაურებს და სფეროს სპეციალისტებს.

ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრი

2019 წელს, საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, ფოთში საზღვაო სასწავლებლის მშენებლობა დაიწყო. საქართველოს მთავრობის მიერ, გამოყოფილ იქნა 6 მლნ ლარი ფოთის ჰიდრომელიაციური ტექნიკუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის რეაბილიტაციისათვის.

სასწავლებელი მოემსახურება ქვეყნის ლოგისტიკურ ინტერესებს, ასევე უზრუნველყოფს მეთევზე-მეზღვაურთა და გემის რიგითი და დამხმარე შემადგენლობის მაღალკვალიფიციურ წვრთნებს. სასწავლებელი გათვლილია 1000 სტუდენტზე და დასაქმდება 250 პროფესორ-მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი.

უმოკლეს ვადაში 7 თვეში დასრულდა შენობის რეაბილიტაცია და 2020 წლის 27 ოქტომბერს გაიხსნა ფოთის სასწავლებელი, საზღვაო სასწავლებელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლიდან მიიღებს სტუდენტებს, მიმდინარე წელს კი, მსურველები შეძლებენ მოკლევადიან სასწავლო კურსების გავლას.

- ცენტრს გააჩნია მეზღვაურთა მაღალკვალიფიციური რიგითი და დამხმარე შემადგენლობის წვრთნის პირობები, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს პასუხობს.
- მეთევზე-მეზღვაურთა ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე თევზსაჭერი გემის სიმულატორით, რომელიც ყველა კომპეტენციის შესაბამისი პრაქტიკული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობას იძლევა. სასწავლებელი მოამზადებს კვალიფიციურ მეთევზე მეზღვაურებს, რომლებიც თანამედროვე თევზსაჭერ გემებზე შეძლებენ დასაქმებას; აღსანიშნია, რომ სიმულატორის შეძენა მეთევზე-ლიცენზიანტებმა დააფინანსეს.

- APM ტერმინალის მხარდაჭერით სასწავლებელს ექნება ამწის სიმულატორი, რომლის ანალოგი დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს. ცენტრი მოამზადებს კვალიფიციურ ამწის ოპერატორებს, რაც ერთ-ერთი მოთხოვნადი სპეციალობაა პორტებში.
- ტრენინგ ცენტრის ლოჯისტიკის ლაბორატია მოეწყო GIZ დაფინანსებით. აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით მოეწყო ინგლისური ენის შემსწავლელი თანამედროვე სასწავლო კაბინეტი. ჯამში ფოთის ფილიალის აღჭურვაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დონორმა.

ამ ეტაპზე ცენტრს ჰყავს 21 თანამშრომელი, აქტიურ ფაზაშია აკადემიური პერსონალის მოძიების და გადამზადების პროცესი.

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი


გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.


მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

გემების რეგისტრაციის სამმართველო აწარმოებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. 2020 წლის განმავლობაში საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

დიაგრამა N6 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია




დიაგრამა N7 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია




დიაგრამა N8 - 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

>100 GT (2020 წელი)




დიაგრამა N9 - 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი

>100 GT მცურავი საშუალებების რეესტრი




დიაგრამა N10 - საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

საერთაშორისო ნაოსნობა (2020 წელი)




დიაგრამა N11 - საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეესტრი

საერთაშორისო ნაოსნობის რეესტრი




დიაგრამა N12- 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია (2019-2020 წლების შედარება)




დიაგრამა N13- 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები

<100 GT მცურავი საშუალებების რეესტრი (2020-2019)




დიაგრამა N14- 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

>100 GT (2020-2019)




დიაგრამა N15- 100 რეგ. ტონაზე მეტი შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებების რეესტრი

>100 GT მცურავი საშუალებების რეესტრი (2020-2019)




დიაგრამა N16 - საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

საერთაშორისო ნაოსნობა (2020-2019)



დიაგრამა N17-საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეესტრი

საერთაშორისო ნაოსნობის რეესტრი (2020-2019)



2020 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 25 მცურავი საშუალება - 10 საერთაშორისო ნაოსნობაში, ხოლო 25 ერთეული შიდა ნაოსნობაში. რეგისტრირებული გემების ტონაჟმა შეადგინა 22,822 რეგისტრული ტონა, აღსანიშნავია რომ, 2019 წელს რეგისტრირებულ ტონაჟთან მიმართებით ფიქსირდება 25%-იანი მატება.

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის პროცესისა და საკანონმდებლობაზის გაუმჯობესება

- დაიხვეწა დროშის კონტროლისა და გემების რეგისტრაციის პროცესის საკანონმდებლო ბაზა (ცვლილებები შევიდა საზღვაო შრომის კოდექსში, გამოიცა ახალი ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“);
- შიდა ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად დადგენილ იქნა რიგი მოთხოვნები (შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე სახანძრო და სიცოცხლის უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები, შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე სასწავლო წვრთნების მინიმალური მოთხოვნები, შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნები, შიდა ნაოსნობის, მათ შორის ზომამცირე გემებზე საზღვაო პუბლიკაციების მინიმალური მოთხოვნები)
- შემუშავდა და დამტკიცდა იახტ კოდი, აღსანიშნავია, რომ დღევანდლამდე ქვეყანას მსგავსი კოდექსი არ გააჩნდა;
- გაუმჯობესდა და დაიხვეწა გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის სერვისები (ელექტრონული სერტიფიკატების დანერგვა, სმს და ელ ფოსტის სისტემის დანერგვა, დაინერგა ელექტრონული განაცხადები)

ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობს ღებულობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში; უწევს გემებს 24 საათიან საინფორმაციო მომსახურებას - მნიშვნელოვანი სანავიგაციო ინფორმაციით გემების დროულ უზრუნველყოფას; სანავიგაციო დახმარებას - გემებზე გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად და ეფექტური მონიტორინგისათვის, განსაკუთრებით რთულ სანავიგაციო და მეტეოროლოგიურ პირობებში ან სხვა საგანგებო შემთხვევებში; ასრულებს გემების მოძრაობის ორგანიზებას - საშიში სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით გემების შემდგომი გადაადგილების დაგეგმვას, რაც ითვალისწინებს გემების მოძრაობაზე დაკვირვებას. მეკავშირე ოფიცერი უზრუნველყოფს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლობას ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრში (სუფსა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის განმავლობაში.

2020 წელს დაფიქსირებული მონაცემები:

1. პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი და ტრანზიტული) -----3463.
2. საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონში -----75.
3. საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ -----1 .
4. პასუხისმგებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია ----- 7.
5. პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია ----- 14.
6. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შესტყობინება - 0.
7. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა -20.
8. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა --- 7.
9. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავსადგურების აკვატორიებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა ----- 4521.
10. გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ქვეცენტრების მიერ ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკა

ქვეცენტრი	ზონაში შესვლა	ზონიდან გასვლა	რეიდიდან ნავმისადგომთან	ნავმისადგომიდან რეიდზე	სულ:
ბათუმი	591	586	226	45	1,448
ფოთი	903	881	473	52	2,309
ყულევი	261	269	219	15	764

საანგარიშოპროექტი საზღვაოსამაშველსაკოორდინაციოცენტრის მიერ ჩატარებულ აქტივობები:

- პერიოდულად ტარდებოდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- ყოველკვარტალურად ტარდებოდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისთვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- დეპარტამენტის წარმომადგენლები მუდმივად მონაწილეობდნენ საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში;
- მონაწილეობ მიიღო შავი ზღვის საერთაშორისო საკომუნიკაციო წვრთნებში - BLACK SEA BRAVO;

ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების ეფექტურობა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმართვა და გემების მოძრაობის მონიტორინგი.

2018 წელს, სააგენტომ მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განახორციელა საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის სრულ ტექნიკურ გადაიარაღებაში. 2018 წელს, ჩვენ გავხდით ევროკავშირის პირველი არაწევრი ქვეყანა, რომელიც მიუერთდა ევროკავშირის გემების შორს მანძილზე იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის სისტემას (LRIT).

2019 წელს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გახდა „საერთაშორისო საზღვაო სამაშველო ფედერაციის“ წევრი, ასევე 2019 წელს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, გემების ეროვნული ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის (AIS) სანაპირო სადგურების ქსელი შეიქმნა. ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად უსასყიდლოდ გადმოგვეცა ორი საბაზო (სახმელეთო) ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის სადგური.

2020 წელს, განხორციელდა საერთაშორისო საზღვაო სამაშველო ფედერაციის მიერ საქართველოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ძებნა-გადარჩენის კატარლის ტრანსპორტირება ბათუმში.

არსებული ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას ევროპული სტანდარტით შეასრულოს თავისი, როგორც საზღვაო ქვეყნის, ფუნქციები და ვალდებულებები საერთაშორისო საზღვაო სივრცეში.

საქართველს საზღვაოსფეროს განვითარება/ ინოვაციური პროექტების განხორციელება

ერთი ფანჯრის პრინციპი საქართველს ნავსადგურებში:

2019 წელს საქართველოს სანავსადგურე სერვისების გაციფროვნება დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარამენტის ტრანსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევა. კვლევის ჩასატარებლად საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა ქართულმა კომპანია დევგეიტი. ერთი ფანჯრის პრინციპის პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის შედეგად, კომპანიამ წარმოადგინა დოკუმენტი - „საჭიროებების კვლევა“. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დონორების მოძიება (საგრანტო განაცხადი შეტანილია აშშ-ს საელჩოში, გავლილი აქვს დაფინანსების ორი ეტაპი და საქართველო ელოდება საბოლოო დადასტურებას), პროექტის მეორე ეტაპისთვის, რომელიც გულისხმობს soft-ის შექმნას.

პროექტი - ერთი ფანჯრის პრინციპი მიზნად ისახავს საპორტო სექტორში ციფრული სერვისების დანერგვას, შემოსული გემების გათავისუფლებას ბიუროკრატიული ბარიერებისგან და არასაჭირო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესისგან. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებს საქართველოს ნავსადგურებში გემების მოცდენის დროს, ხელს შეუწყობს ნავსადგურების მუშაობის ეფექტიანობისა და ტვირთნაკადების ზრდას, ეს ყოველივე კი თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოს, როგორც სატრანზიტო კორიდორის განვითარებას.

საქართველს საზღვაოსტრატეგია

2019 წელს საქართველომ საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება დაიწყო; ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტები, საქართველოს დაეხმარებიან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად დირექტივების იმპლემენტაციასა და საზღვაო სტრატეგიის შემუშავებაში.

დოკუმენტზე მუშაობა დაწყებულია 2019 წლის მარტში, აღნიშნული დოკუმენტის შექმნისათვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილ იქნა 200,000 ევრო.

ევროკავშირის ექსპერტებმა, საქართველოს საზღვაო სფეროს კერძო და საჯარო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2020 წელს დაასრულეს დოკუმენტზე მუშაობა. ამ ეტაპზე UNDP ექსპერტის მიერ, მიმდინარეობს,

მომზადებული დოკუმენტის გადაწყობა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რათა მოხდეს დოკუმენტის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ.

მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში დოკუმენტი ხელს შეუწყობს საზღვაო ტრანსპორტის დარგის მწყობრ, მდგრად და ეფექტურ განვითარებას.

საზღვაო ტრანსპორტის ხელშეწყობა

საზღვაო სფეროში ტევზჭერის მიმართულების განვითარებისათვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საზღვაო ტრანსპორტს სააგენტოსა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთობლივი მუშაობის შედეგად პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ტევზჭერის მიმართულება დაემატა. პროგრამის ხელშეწყობით ტევზჭერი ფლოტი მნიშვნელოვნად განახლდება და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ტევზჭერის პროდუქტების ასორტიმენტისა და გაყიდვების გეოგრაფიის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს.

2019 წლის დეკემბრიდან პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ მხარდაჭერილ ბიზნესებს შორის არის საზღვაო ტევზჭერაც. პროგრამა ერთდროულად იძლევა 5 მლნ. ლარამდე საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმით (90 %-იანი უზრუნველყოფა) და საბანკო სესხის რეფინანსირების განაკვეთს პლიუს 3%-იანი თანადაფინანსებით, ლიზინგის შემთხვევაში კი რეფინანსირების განაკვეთს პლიუს 5% იანი თანადაფინანსების მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც ადგილობრივ მეთევზეებს თანამედროვე სტანდარტის ტევზსაჭერი გემების შეძენაში დაეხმარება.

ახალი გემებით მეთევზეები წლიური ტევზჭერის კვოტის მაქსიმალურ ათვისებას შეძლებენ მაშინ, როცა დღეს მისი სრულად ათვისება ვერ ხორციელდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არსებული პრაქტიკით ქართველი ლიცენზიანტები უცხო ქვეყნის გემებს ქირაობენ და ისე ახორციელებენ საქმიანობას, ვინაიდან ქართული გემები სავალალო მდგომარეობაშია. დღეს, ქართველის მეთევზეების კუთვნილებაშია 30 სეინერი (ტევზსაჭერი გემი, რომელზეც 500-მდე მეთევზე-მეზღვაურია დასაქმებული, თუმცა გემები მოძველებულია და ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. გემების დაბალი საიმედოობის და წარმადობის გამო კი, მეთევზე მეზღვაურთა სათანადო დონეზე და ტექნოლოგიებზე გადამზადებაც ვერ ხერხდება.

ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის გახსნაზე, ხელი მოეწერა პირველ სამმხრივ მემორანდუმს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, კომპანია „თი-ბი-სი ლიზინგსა“ და თევზსაჭერი გემის მფლობელს შორის, რომლის საფუძველზეც პირველად დაფინანსდება ახალი თევზსაჭერი გემის მშენებლობა.

საგადასახადო შეფასებების პროექტი უცხოური ბიზნესის წასახალსებლად

საქართველოში საზღვაო ინდუსტრიის ხელშეწყობის, ახალი საზღვაო მიმართულებების განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქტიური თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა და ძალაში შევიდა ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს საშელავათო პირობების დაწესებას საზღვაო (და არამხლოდ) ინდუსტრიის კომპანიებისთვის, რისთვისაც საჭირო იქნება მსურველებმა დააკმაყოფილონ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

„საერთაშორისო სტატუსის“ მქონე ქართული და უცხოური კომპანიები ისარგებლებენ შეღავათებით ქონების, მოგების, დივიდენდებსა და საშემოსავლო გადასახადებზე:

- მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-მდე შემცირდება;
- თუ ქონება გამოიწველია, ან გამოიყენება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობისთვის, საერთაშორისო კომპანია თავისუფლდება ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისგან;
- თავისუფლდებიან დივიდენდისა და
- საშემოსავლო გადასახადებისგან.

ნებადართული საქმიანობის სახეებია საერთაშორისო სანაოსნო ბიზნესთან, გემის ფლობასა და მართვასთან დაკავშირებული საქმიანობები: პერსონალით უზრუნველყოფა; გემის ფლობასთან დაკავშირებული კომერციული და ტექნიკური მომსახურებები, მათ შორის: გემის გაქირავება ეკიპაჟით ან უეკიპაჟოდ; რეისის დაგეგმვა ან/და ანალიზი და სხვ. ახალი გემების მშენებლობის შეკვეთების ორგანიზება ან/და მეორადი გემების ყიდვა-გაყიდვის მომსახურება და სხვ.

საზღვაო დარგისთვის შეღავათების დაწესება პირველ რიგში, კონკურენტუნარიან გარემოში ჩააყენებს საქართველოს რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებიც ამ მიმართულების საქმიანობებზე თანამედროვე საგადასახადო სისტემას არ იცნობს. საქართველოს იურისდიქციაში შესაძლებელი გახდება საერთაშორისო სანაოსნო კომპანიების მოზიდვა „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსით. გაიზრდება ქართული დროშის ქვეშ მცურავი გემების რაოდენობაც, რომელიც

საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვებს ახორციელებს. ეს გარდა ეკონომიკური სარგებლისა გაზრდის ქართული დროშის იმიჯს საერთაშორისო მასშტაბით.

საკანონმდებლსაქმიანობა

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ - ასოცირების შეთანხმების საფუძველზე საქართველომ ტრანსპორტის სფეროში აიღო ვალდებულება 2020 წლის ბოლომდე დაენერგა შემდეგი დირექტივა/რეგულაციები:

1. ევროპარლამენტის და საბჭოს 2001 წლის 4 დეკემბრის დირექტივა 2001/96/EC, რომლითაც ჩამოყალიბდა სატვირთო გემებზე ტვირთის უსაფრთხო ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ჰარმონიზებული მოთხოვნები და პროცედურები“ აღნიშნული დირექტივის საფუძველზე, ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით, შემუშავებული იქნა „ნავსადგურის წესებში“ ცვლილების პროექტი, რომელიც გადის საბოლოო შეთანხმებას და უნდა დაინერგოს 2020 წლის დეკემბრის ბოლომდე;

2. 2017 წლის 15 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017/2110 დირექტივა რეგულარული სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდავი ბორნის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის სავალდებულო შემოწმების სისტემისა და მაღალსიჩქარიანი სამგზავრო გემის მომსახურებების შესახებ“ (1999 წლის 29 აპრილის საბჭოს დირექტივა 1999/35/EC);

დირექტივის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველო ჯერჯერობით არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, ის ექცევა მესამე სახელმწიფოს რეგულაციების ქვეშ. აქედან გამომდინარე, საქართველო, დირექტივის დებულებების შესაბამისად, ყოველთვის მოექცევა „ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე“ 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივის მოქმედების ქვეშ. საქართველოს მიერ ხსენებული დირექტივის დანერგვის შემთხვევაში, 2009/16/EC დირექტივის დებულებები სავალდებულო იქნება გავრცელდეს იმ გემებზე, რომლებზეც ცალსახად არ ვრცელდება ამ დირექტივის მოქმედება. აღნიშნული გამომდინარეობს, დირექტივის პირველი მუხლის მეორე პუნქტიდან, რომლის შესაბამისად ამ დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება RO-RO სამგზავრო და მაღალსიჩქარიანი სამგზავრო გემებზე, რომელიც ექცევა 2009/16/EC დირექტივის ქვეშ.

შესაბამისად, სააგენტომ მიმართა შუამდგომლობით ეკონომიკის სამინისტროს, საგარეო საქმეთ სამინისტროსთან შუამდგომლობის დაყენებაზე აღნიშნული დირექტივის ამოღების შესახებ.

3. 2000 წლის 27 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/59/EC დირექტივა ნავსადგურში გემების მიერ გენერირებული და ტვირთების ნარჩენების მიმღები მოწყობილობების შესახებ - აღნიშნული დირექტივის საფუძველზე, შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა „ნავსადგურის წესებში“ ცვლილების პროექტი.

4. 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC დირექტივა გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე- დირექტივის დანერგვა მოხდება „საზღვაო შრომის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთებით. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე შემუშავდა კანონპროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია დირექტივისა და კონვენციის მოთხოვნები მეზღვაურთა სამუშაო და დასვენების საათების რაოდენობის დარეგულირებასთან მიმართებაში;

5. 1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება „მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“- დირექტივის დანერგვა მოხდება „საზღვაო შრომის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთებით. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე შემუშავდა კანონპროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია დირექტივისა და კონვენციის მოთხოვნები მეზღვაურთა სამუშაო და დასვენების საათების რაოდენობის დარეგულირებასთან მიმართებაში;

6. 2019 წლის 20 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019/1239/EU რეგულაცია „ევროპული საზღვაო ერთი ფანჯრის გარემოს შექმნის შესახებ“ (2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/65/EU) - აღნიშნული დირექტივის დანერგვის მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო, რომელმაც მოახდინა მიზანშეწონილობის კვლევა და მიმდინარეობს დირექტივის დანერგვისთვის შემდგომი ქმედებები.

აღსანიშნავია, რომ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ უკვე განახორციელა 16 დირექტივის იმპლემენტაცია.

რაც შეეხება, საზღვაო შრომის კონვენციის იმპლემენტაციას, კონვენციის საიმპლემენტაციო პაკეტი გაგზავნილ იქნა სახელმწიფო უწყებებში განსახილველად 2019 წლის ივლისში. 2020 წლის 09 მარტს უწყებებიდან მიღებული შენიშვნების შესაბამისად, მომზადდა შეთანხმების ფურცელი და კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტი. „საზღვაო შრომის შესახებ“ (MLC,2006) საერთაშორისო კონვენციასთან შეერთებით დარეგულირდება მეზღვაურთა სამუშაო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო

მომსახურების და დასაქმების პირობები, რითც მეზღვაურებს უფრო დაცულებს გახდის საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე შემუშავდა კანონპროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC დირექტივის და 1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივის მოთხოვნები, მოთხოვნები მეზღვაურთა სამუშაო და დასვენების საათების რაოდენობის დარეგულირებასთან მიმართებაში.

საქართველოს კანონის/ნორმატიული აქტების შემუშავება/დხვეწა

- 2020 წლის 28 მაისს გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობის N333 დადგენილება - სალოცმანო სამსახურის საქმიანობის და ლოცმანის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2020 წლის 09 ივნისს მიღებულ იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება - „საქართველოში მეზღვაურთა გადაადგილებისას ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით ეპიდემიოლოგიური კონტროლისა და კარანტინის წესების“ დამტკიცების შესახებ.
- „საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა აღიარების, აღიარების სერტიფიკატის გაცემის, გაცემის პირობების მონიტორინგის და ზედამხედველობის, აღიარების სერტიფიკატის შეჩერების/შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება;
- „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ“, ბრძანების ცვლილების პროექტი;
- გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მომზადება;
- „სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურს განაკვეთებისა, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების ცვლილების პროექტი;
- „გემის რიგითი ელექტროტექნიკოსის მომზადების პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების შერჩევისა და გემის რიგითი ელექტროტექნიკოსის მომზადების პროგრამის აღიარების წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ;

- სსიპ საზღვაო ტრასპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 01 ნოემბრის N026 ბრძანებაში „კომპეტენციის, კვალიფიკაციის და სხვა სერტიფიკატის მიღებისა და მისი განახლებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანების პროექტი;
- „არაკონვენციური მცურავი საშუალებების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ;
- 2020 წლის 31 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა N17 ბრძანება „მცურავი საშუალებისთვის განკუთვნილი დოკის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისა და დოკზე მუშაობის წესის“ დამტკიცების შესახებ.

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

- 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებული იყო 131 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ მაჩვენებლებს - სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 43, და მამრობითი სქესის - 88 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება ზღვაზე ძებნა გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები);
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 17 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.
- 2020 წელს, კონკურსის წესით განხორციელდა 7 ვაკანტური პოზიციის შევსება;
- 2020 წელს, სააგენტოს 41 თანამშრომელმა გაიარა სპეციალური კურსები/წვრთნები/სწავლებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონისა და დადგენილება 381 შესაბამისად, 2020 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელდა მომსახურების შესყიდვა სააგენტოს ყველა თანამშრომლის დაზღვევასთან დაკავშირებით.

ISO 9001:2015/ISO 27001/შრომის უსაფრთხოება

2018 წელს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ წარმატებით გაიარა გერმანული სასერტიფიკაციო ორგანიზაცია “TUV SUD” სარესერტიფიკაციო აუდიტი, და შეინარჩუნა ხარისხის მართვის ISO 9001:2015 სერტიფიკატი. 2020 წელს, შეუსაბამობების დაფიქსირების გარეშე ჩატარდა ზემოთხსენებული ორგანიზაციის სადამკვირვებლო აუდიტი. სააგენტოში მუდმივად მიმდინარეობს კონტროლი ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტის ისო 27001 დანერგვასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი და შიდა აუდიტორები, რომლებმაც სტანდარტის დასანერგად გაიარეს შესაბამისი ტრენინგები. აღნიშნულის ფარგლებში მიმდინარეობს მუშობა შემდეგ დოკუმენტებზე:

- ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შედგენა;
- „სუფთა მაგიდისა“ და „სუფთა ეკრანის“ პოლიტიკა;
- SoA განაცხადი გამოყენებადობის შესახებ - დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება
- დამტკიცდა ინფორმაციული უსაფრთხოების გავრცელების სფეროსა და პოლიტიკის დოკუმენტი;
- დასრულდა ინფორმაციული უსაფრთხოების 2021 წლის რისკების გაწერა და კონტროლის მექანიზმების შერჩევა;

მიმდინარეობს სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების დანერგვის უზრუნვესაყოფად, საანგარიშო პერიოდში მომზადებულ და დამტკიცებულ იქნა შემდეგი დოკუმენტები:

- შრომის უსაფრთხოების დანერგვის პროექტი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- კრიზისული მართვის გეგმა;
- შრომის უსაფრთხოების რისკები და პრევენციის მექანიზმები.

სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.